

წინამდებარე ფორმა გამოიყენება NVU-ის პროგრამის მოსამზადებლად. შევსებული ფორმა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის საბჭოს. ცისფრად მონიშნული გრაფები მიუთითებს NVU-ის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე და არ ივსება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); ყვითლად მონიშნული გრაფების შევსება ნაბაყოფოლობითია.

1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის დასახელება:		ბიზნესი და ინფორმაციული ტექნოლოგიები					
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (პირითადი სპეციალობის მიხედვით):		ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; ინფორმატიკის ბაკალავრი.					
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:		240	საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე (VI, VII ან VIII)			VI	
არსებული კონცენტრაციები:		ბიზნესის ადმინისტრირება					
პასუხისმგებელი სკოლა/სკოლები:		ბიზნესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა					
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:		ბექარ მელაძე					
სწავლების ენა		ინგლისური					
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული:		ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდები/ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესი		სხვა		განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესის შემთხვევაში: განცხადება და მოტივაცია, ინგლისური ენის ცოდნა	
დამატებითი სპეციალობა:	დიახ	დისტანციური სწავლება	არა	გაცვლითი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა	დიახ	სამუშაო გამოცდილება/ დასაქმება:	არა
ხელმისაწვდომობა თავისუფალი მსმენელებისთვის:	დიახ	წინასწარი რეგისტრაციის მოთხოვნა	დიახ	სხვა	არა	სხვა	არა
სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა:	ნაკადში 100 სტუდენტი			შეცვლილი პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):		არ არსებობს	
სავარაუდო განხორციელების თარიღი:	16.09.2013			შეთავაზების თარიღი:		10.06.2013	

2. მიზნები და სწავლის შედეგები

<p>მიზნები:</p>	<p>ამ ფართო სპექტრის პროგრამის უმთავრესი მიზანია, სტუდენტებს შესთავაზოს მრავალმხრივი განათლება ბიზნესის მართვის და/ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. სტუდენტებს შეუძლიათ, თავისუფალი არჩევანი გააკეთონ შეთავაზებულ მრავალფეროვან საგნებს შორის და არ შემოიფარგლონ მხოლოდ ერთი, კონკრეტული კონცენტრაციით, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაიფართოონ ცოდნა და თავად შეარჩიონ სასურველი აკადემიური ხარისხი;</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს, შეასწავლოს სტუდენტებს ორგანიზაციების ხასიათი და სტრუქტურა, ხელი შეუწყოს მათ როგორც მხარდამჭერის, ისე ლიდერის უნარ-ჩვევების განვითარებაში;</p> <p>ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გამოიმუშავენ უნარ-ჩვევებსა და თავდაჯერებულობას, რათა იქცნენ გლობალური ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების სამყაროს ნაწილად. ისინი შეისწავლიან, თუ როგორ უნდა იყვნენ ინოვაციურები, ახლებურად გაიაზრებენ ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე ასპექტებს. სტუდენტები გამოიმუშავენ კომპეტენციებს, რომლებიც მოამზადებენ მათ პასუხისმგებელი მენეჯერების/ტექნიკური პერსონალის როლის შესასრულებლად სხვადასხვა ორგანიზაციაში თუ საწარმოში;</p> <p>სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ პროფესიული კომპეტენციები ბიზნესისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, ისინი მიიღებენ ცოდნას და გამოიმუშავენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ხელმძღვანელობის, მართვის, ფინანსების/ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგისა და ბიზნესკომუნიკაციების სფეროში;</p> <p>ასევე, სტუდენტები მიიღებენ საჭირო ცოდნას პრობლემის გადაჭრის ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გზების მოსაძიებლად და არსებულის გასაუმჯობესებლად პროგრამირების ტექნიკისა და რელატიურ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების მეშვეობით. კურსდამთავრებულები შეძლებენ მათემატიკური მოდელების შედგენას და შესაბამისი გამოთვლითი ალგორითმების რიცხვით რეალიზაციას.</p>
-----------------	---

<p>ზოგადი სწავლის შედეგები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციური სფეროების გააზრების უნარი; - ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა დისციპლინის პრაქტიკული ლექსიკონის ჯეროვნად გამოყენების უნარი; - საკითხის მრავალმხრივ მოგვარების უნარი; - თეორიული ჩარჩოების გააზრებისა და შეფასების უნარი; - შესაბამისი დამოუკიდებელი კვლევის გარკვეული ნაწილის განხორციელების უნარი; - სათანადო პრაქტიკული სტრატეგიების განსაზღვრის უნარი - სხვებთან ერთად მუშაობისას უნარ-ჩვევების განვითარების უნარი; - სხვადასხვა სახის არგუმენტების ფორმულირების, ანალიზისა და შეფასების და მათი ლოგიკური და თანმიმდევრული სახით წარმოდგენის უნარი.
<p>დარგობრივი სწავლის შედეგები:</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> - ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციური სფეროების ძირითადი ცნებების გააზრების უნარი; - ინფორმატიკის, მონაცემთა წარმოდგენის, მოდელების, სტრუქტურებისა და ინფორმატიკაზე აგებული მენეჯმენტის მათემატიკური და ლოგიკური საფუძვლების ცოდნისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების დემონსტრირების უნარი; - ბიზნესის ისეთი ძირითადი საბაზისო დისციპლინების ცოდნისა და გაცნობიერების უნარი, როგორებიცაა: ბიზნესგარემო, ბუღალტრული აღრიცხვა, მარკეტინგი, ფინანსები; - ბიზნესის ისეთი ძირითადი ფუნქციური სფეროების საქმიანობათა ფართო სპექტრის კრიტიკული ცოდნა და გაცნობიერება, როგორებიცაა: ადამიანური რესურსების მართვა და ინოვაციური მენეჯმენტი. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - ურთიერთქმედების პროექტირებისა და პროდუქტის გამოყენებადობის მიმართ მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების უნარი, ინტერფეისისა და ურთიერთქმედების პროექტირების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ტესტირების მეთოდების ჩათვლით; - ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების რეალური პრობლემების განსაზღვრისა და ფორმულირების და პრობლემების გადაჭრის რაციონალური და ცოდნაზე დაფუძნებული გზების დაგეგმვის უნარი სტატისტიკური და ბიზნესმეთოდების გამოყენებით;

- ბიზნესის/მართვის პრობლემების მიმართ კრიტიკული მიდგომისა და ახალი და არსებული საწარმოებისთვის ინოვაციური სტრატეგიების შემუშავების ბრძანების გაცემის უნარი;
- ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების მონაცემებისთვის შესაბამისი წყაროების განსაზღვრისა და შერჩევის უნარი;
- მართვის პრობლემებისა და საკითხების მიმართ კრიტიკული მიდგომის უნარი, გადაწყვეტილების მისაღებად და შემდგომი რეაგირებისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

გადაწყვეტილების მიღების უნარი

- ბიზნესთან/ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის, ანალიზისა და გადაჭრის და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- პრობლემების მიზნებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების განმარტების უნარი;
- გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების უნარი, საინფორმაციო სისტემების აღქმის უნარი;
- გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოძიების, ორგანიზებისა და გამოყენების უნარი;
- ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის, ანალიზისა და განმარტების უნარი
- მარკეტინგსა და წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრის, ანალიზისა და შეთავაზების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- წერილობითი და ზეპირი მოხსენებების მეშვეობით გასაგებად და დამაჯერებლად კომუნიკაციის უნარი;
- მიზნის ნათლად განსაზღვრის უნარი, სტილის სწორად შერჩევისა და დამხმარე მონაცემების დემონსტრირების მეშვეობით;
- პროფესიული ლექსიკონის გამოყენების, გრამატიკის წესების, პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის დაცვის, პრეზენტაციის ადეკვატური საშუალების არჩევის უნარი.

სწავლის უნარი

- ფინანსების ცოდნის დემონსტრირების უნარი მენეჯერული ინფორმაციისა და სხვა მონაცემების კითხვისა და განმარტების გზით;

- მიღებული ცოდნის პრაქტიკულ ბიზნესგარემოში გამოყენების უნარი ბიზნესის/ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის, რეალური ბიზნესპრობლემების სიმულირებისა და რეალური მაგალითების გადაჭრა/განხილვის გზით.

ღირებულებები

- სხვადასხვა საქმიან, ინტერპერსონალურ თუ სოციალურ სიტუაციაში საკუთარი ქცევისა და ბიზნესეტიკეტის გაცნობიერებისა და შესაბამისად მოქცევის უნარი;
- ბიზნესეთიკასთან დაკავშირებული ცნებებისა და ბიზნესეთიკის საწარმოს მმართველობაზე ზეგავლენის გაცნობიერების უნარი;
- პირადი ქცევის კოდექსის შემუშავების; ეთიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად პრინციპების გაჟღერების უნარი.

3. მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების კრილში

კოდი (პროგრამა- მოდული- კომპონენტი)	მოდულები და კომპონენტები:	სტატუსი (სავალდებულო/არჩევ ითი)	ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენტის პროფილისთვის)	ცოდნა და გაცნობიერება	დასკვნების უნარი	კომუნიკაციის უნარი	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	სწავლის უნარი	ლიბერალულები
BIT 6101	კრიტიკული აზროვნება და ლოგიკა	ს	6 (I)	✓	✓	✓	✓	✓	
BIT 6102	ბიზნესის სამართლებრივი გარემო	ს	6 (I/II)	✓	✓	✓		✓	✓
BIT 6103	პრეზენტაციის უნარები წარმატებისათვის	ს	6 (I/II)	✓		✓	✓	✓	
BIT 6104	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	ს	6 (I)	✓		✓	✓	✓	
BUSA 6101	გამოყენებითი ეკონომიკა	სბ	6 (I)	✓	✓		✓		✓
IT 6101	პროგრამირების შესავალი	სი	6 (I)	✓			✓	✓	
BIT 6105	კალკულუსი	ს	6 (II)	✓		✓	✓	✓	
BIT 6106	შესავალი მენეჯმენტის პრაქტიკაში	ს	6 (II)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BIT 6107	კომუნიკაცია და მოლაპარაკება ბიზნესგარემოში	ს	6 (I/II)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BUSA 6102	ფინანსური აღრიცხვა – I	სბ	6 (II)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BUSA 6103	მიკროეკონომიკის პრინციპები	სბ	6 (II/III)	✓	✓		✓		✓
IT 6102	ოპერაციული სისტემის არქიტექტურა	სი	6 (II)	✓			✓	✓	
IT 6103	სტრუქტურული პროგრამირება	სი	6 (II)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BIT 6208	წრფივი პროგრამირება და ოპტიმიზაცია	ს	6 (III)	✓	✓	✓	✓	✓	
BIT 6209	მარკეტინგის საფუძვლები	ს	6 (III)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BIT 6210	წერისა და ანგარიშგების უნარები წარმატებისათვის	ს	6 (II/III)	✓		✓	✓	✓	

BUSA 6204	მაკროეკონომიკის პრინციპები	სბ	6 (II/III)	✓	✓		✓	✓	
BUSA 6205	ფინანსური აღრიცხვა – II	სბ	6 (III)	✓	✓	✓	✓	✓	✓
IT 6204	ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება	სი	6 (III)	✓	✓	✓	✓	✓	✓
IT 6205	ალგორითმები	სი	6 (III)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BIT 6211	სტატისტიკის შესავალი	ს	6 (IV)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BIT 6212	ხელშეკრულებები და ბიზნესგარიგებები	ს	6 (III/IV/V)	✓	✓	✓	✓	✓	✓
BUSA 6206	ადამიანები და ორგანიზაციები	სბ	6 (III/IV)	✓	✓	✓			✓
BUSA 6207	კორპორაციული ფინანსები – I	სბ	6 (IV)	✓	✓		✓	✓	✓
BUSA 6208	საერთაშორისო ბიზნესის შესავალი	სბ	6 (III/IV)	✓		✓	✓		
IT 6206	რელაციური მონაცემთა ბაზები	სი	6 (IV)	✓	✓	✓	✓	✓	
IT 6207	ქსელის კონცეფცია	სი	6 (IV)	✓			✓	✓	
IT 6208	რიცხვითი ანალიზი	სი	6 (IV)	✓	✓	✓	✓	✓	
BIT 6313	კვლევითი უნარები, მოდელირება და მონაცემთა ანალიზი	ს	6 (V)	✓	✓		✓		
BUSA 6309	კორპორაციული ფინანსები – II	სბ	6 (V)	✓	✓	✓	✓		✓
BUSA 6310	ოპერაციებისა და პროცესების საფუძვლები	სბ	6 (V)	✓	✓		✓	✓	
BUSA 6311	მმართველობითი აღრიცხვის შესავალი	სბ	6 (V/VI)	✓	✓	✓	✓	✓	✓
IT 6309	მალალტექნოლოგიური პროგრამირება	სი	6 (V)	✓		✓	✓	✓	
IT 6310	მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება	სი	6 (V)	✓			✓	✓	
IT 6311	მონაცემთა სტრუქტურები	სი	6 (V)	✓	✓	✓	✓	✓	✓
IT 6312	დიგიტალური სამართალი	სი	6 (V)	✓	✓	✓	✓	✓	✓

BIT 6314	პროექტების მართვა	ს	6 (VI)	✓	✓		✓		
BUSA 6312	მარკეტინგული კვლევის საფუძვლები	სბ	6 (VI)	✓	✓		✓	✓	
BUSA 6313	ინვესტიციები და შეფასება	სბ	6 (VI)	✓	✓	✓	✓	✓	
BUSA 6414	შესავალი ბიზნესისა და მეწარმეობის დაგეგმვაში	სბ	6 (VIII)	✓	✓	✓	✓	✓	
IT 6313	აპარატურაზე ორიენტირებული პროგრამირება	სი	6 (VI)	✓		✓	✓	✓	
IT 6314	ვებტექნოლოგიები	სი	6 (VI)	✓		✓	✓	✓	
IT 6315	კრიპტოგრაფია	სი	6 (VI)	✓	✓	✓	✓	✓	✓
IT 6316	სისტემური პროგრამირება	სი	6 (VI)	✓			✓	✓	
IT 6317	ვებდეველოპმენტი	სი	6 (VII)	✓		✓	✓	✓	
BA 6501	მარკეტინგული დაგეგმვის საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓	✓	✓		✓
BA 6502	მომხმარებლის ქცევის საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓	✓	✓		✓
BA 6503	შესავალი წარმოებულ ფასიან ქაღალდებში	ა	6 (VII/VIII)	✓	✓	✓	✓	✓	
BA 6504	ფინანსური ანალიზის საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓	✓	✓		
BA 6506	კორპორატიული გარიგებების საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓		✓		✓
BA 6507	დისტრიბუციის არხების საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓		✓	✓		
BA 6508	სტრატეგიული და საერთაშორისო მენეჯმენტის შესავალი	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓	✓	✓	✓	
BA 6509	ფინანსური ბაზრების შესავალი	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓			✓		
BA 6510	შესავალი ეკონომეტრიკულ ანალიზში	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓	✓	✓	✓	✓	
BA 6511	გლობალური მარკეტინგის საფუძვლები	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓		✓	✓		
BA 6512	საერთაშორისო სავაჭრო დავების განხილვა	ა	6 (VI/VII/ VIII)	✓		✓	✓		✓

BA 6513	ფიზიკა – I	ა	6 (VI/VII/ VIII)	√			√	√	
BA 6514	ფიზიკა – II	ა	6 (VI/VII/ VIII)	√			√	√	

შენიშვნა: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის არჩევითი კურსების ნაცვლად ან მათ გარდა, სტუდენტის სურვილისამებრ, შესაძლებელია 60 კრედიტის დაგროვება დამატებითი სპეციალობის არჩევით სამართლის ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

ს – აღნიშნავს „ძირითად კურსს“ როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისთვის, ისე ინფორმატიკის ბაკალავრისთვის.

სბ – აღნიშნავს „ძირითად კურსს“ ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, როგორც ძირითადი სპეციალობისთვის, რომელიც იმავდროულად არჩევითი კურსია ინფორმატიკისთვის.

სი – აღნიშნავს „ძირითად კურსს“ ინფორმატიკისთვის, როგორც ძირითადი სპეციალობისთვის, რომელიც იმავდროულად არჩევითი კურსია ბიზნესის ადმინისტრირებისა.

ა – აღნიშნავს „არჩევით კურსს: როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე ინფორმატიკის ბაკალავრისთვის. ეს არჩევითი კურსები ჩაითვლება როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე ინფორმატიკის „დამატებით სპეციალობად“ არჩევის შემთხვევაში.

სხვა ან დეტალურად:

მიუთითეთ, ყველაზე მეტად რომელი უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამა, შეარჩიეთ მინიმუმ 5 (მაქსიმუმ 10) ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან.

ანალიტიკური უნარები	√	ლიდერობა	
კომერციული აზროვნება	√	დაგეგმვა და ორგანიზება	√
თავდაჯერებულობა		პროფესიონალიზმი	
პრობლემების გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა	√	კვლევის უნარი	√
კრიტიკული აზროვნება	√	თვითრეალიზაცია	√
ეთიკური ნორმების გაცნობიერება		სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების აღქმა	
მოქნილობა		გუნდური მუშაობა	√
დამოუკიდებელი მუშაობა		დროის მენეჯმენტი	√
ინიციატივა		ინტერპერსონალური უნარები	
სწავლის უნარი	√	სწავლების უნარი	

4. სწავლის შედეგების მიღწევის გზები და შეფასება:

კავშირი გამოყენებულ მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის:

თანამედროვე ბაზრებისთვის განკუთვნილი, უახლესი სტანდარტების შესაბამისი ეს პროგრამა იძლევა ძირითადი (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ან ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის) და დამატებითი სპეციალობების არჩევის/შეცვლის ან შესაბამისი კომბინაციების სხვადასხვა მიმართულების არჩევით კურსებზე გადატანის შეუზღუდავი თავისუფლების საშუალებას, მეექვსე სემესტრის დასრულების შემდეგაც კი. ძირითადი კურსებისაგან შემდგარი მყარი საფუძველი სტუდენტებს უზრუნველყოფს ასევე მყარი საფუძველით ბიზნესის/მენეჯმენტის, სოციალური მეცნიერების, კომუნიკაციისა თუ ტექნიკის სხვადასხვა სფეროში, აფართოებს სხვადასხვა მიმართულებებისა თუ ქვემიმართულებების აღქმას. ძირითადი კურსების შეთავაზება მთელი პროგრამის განმავლობაში ხდება და ეს სტუდენტებს საკუთარი ცოდნისა და უნარების (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების) ფორმირების საშუალებას აძლევს, რათა მომავალში წარმატებით დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში და საწარმოებში. ძირითადი კურსების მიზანი მხოლოდ იმ კომპეტენციების გამომუშავებას ემსახურება, რომლებიც აუცილებელია როგორც ბიზნესის, ისე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებისთვის.

ძირითადი კურსების ნაწილი აუცილებელია პროფესიული კომპეტენციების, ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად – იქნება ეს ბიზნესის ადმინისტრირების (სბ) თუ ინფორმატიკის (სი) მიმართულებით. ეს კურსები, სხვა ძირითად კურსებთან (ს) ერთად, ემსახურება სტუდენტის კომპეტენციების დახვეწას ძირითადი სპეციალობის ასათვისებლად ბიზნესის ადმინისტრირების ან ინფორმატიკის მიმართულებით.

არჩევითი კურსები (ა – რომლებიც შეუძლიათ აირჩიონ როგორც ორივე ძირითადი სპეციალობის სტუდენტებმა, ისე დამატებითი სპეციალობის სტუდენტებმაც ორივე მიმართულებით) საშუალებას აძლევს სტუდენტებს, უკეთ გაიაზრონ ბიზნესის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა სფეროები და დახვეწონ საკუთარი კომპეტენციები შერჩეული ქვემიმართულებით. პროგრამა ხელს უწყობს როგორც კვლევითი, ისე მენეჯერული/პრაქტიკული/ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარებას გამოყენებული სწავლების მეთოდების მეშვეობით, რომელიც ემყარება ინტერაქტიული სწავლებისა (მათ შორის საკლასო განხილვების) და დამოუკიდებელი ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლის ხელშეწყობის ნაზავს. ყოველივე ეს ხდება თეორიული კომპონენტების, პრობლემების გადაჭრისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინირების გზით, რაც მიზნად ისახავს წარმატებული თვითრეალიზაციისა და მენეჯერულ/სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას, მუდმივად ცვალებადი ბიზნესგარემოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების სისტემა:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობებიდან	შეფასება (მოკლე აღწერილობა)	სტუდენტების შედეგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი (შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების ადეკვატურობის მონიტორინგის მიზნით)
91-100	A (ფრიადი)	საუკეთესო – 10%

81-90	B (ძალიან კარგი)	საშუალოზე მაღალი – 25 %
71-80	C (კარგი)	საშუალო – 30 %
61-70	D (დამაკმაყოფილებელი)	საშუალოსთან მიახლოებული – 25%
51-60	E (საკმარისი)	ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 10%
41-50	FX (ვერ ჩააბარა, ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება)	
0-40	F (ჩაიჭრა)	

5. რესურსები

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები:

სახელწოდება:	აღწერილობა:
ლიტერატურა	ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო რესურსები (ელექტრონული ლიტერატურის ჩათვლით)